



შპს ანბანელა სუპერქილს

ს/კ 405272583

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ანბანელა სუპერქიდს“-ის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „ანბანელა სუპერქიდს“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2018 წლის 6 ივნისს და მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 205272583;

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რ-ნი, ზ. საკანდელიძის 1.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები:

დირექტორი: ქეთინო წულიაშვილი-გურგენიძე

პარტნიორები: ქეთინო წულიაშვილი-გურგენიძე 50%

ზურაბ გურგენიძე 50 %

1. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანი, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან გამიზნულია საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
 - აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვით მაინც.
- სხვა ყველა აქტივი მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (საოპერაციო ვალუტა, ლარი)

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის ანგარიშზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. სხვა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე პერიოდში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებთან, აღიარდება როგორც მიმდინარე ხარჯი და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. კომპანია იყენებს ცვეთის ღირებულების წრფივ მეთოდს.

4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. წარმოადგენს მოკლევადიან აქტივებს, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო პროცესში გამოყენებისთვის და მისი ლიკვიდურობის ვადა არ აღემატება ერთ წელს.

ვინაიდან კომპანია წარმოადგენს საბავშვო ბაღს, მომსახურება მოიცავს ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის საჭირო ყველა კომპონენტს, მათ შორის კვებისა და ჰიგიენის დაცვის უზრუნველყოფას. შესაბამისად ძირითად სასაქონლო მატერიალურ მარაგს წარმოადგენს საკვების დამზადებისთვის განკუთვნილი ნედლეული, სახვითი ხელოვნებისთვის საჭირო ინვენტარი და ჰიგიენის დაცვის საშუალებები. ამათგან საკვები ნედლეულისა და სახვითი ხელოვნების ინვენტარის

ჩამოწერის მიზნით, ყოველთვიურად დგება ჩამოწერის აქტი და ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც საოპერაციო ხარჯი. რაც შეეხება ჰიგიენის დაცვის საშუალებებს, მათი აღიარება ხდება პირდაპირ ხარჯებში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს.

6. ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებასა და მიმდინარე სასესხო ვალდებულებებს.

გრძელვადიანი სესხი აღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთითა და გრაფიკით. კონვერტაცია ხდება ბანკის მიერ შემოთავაზებული კომერციული კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება ანგარიშგების შესაბამის მუხლებში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

7. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ არის განსაზღვრული წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

8. შემოსავლის და ხარჯის აღიარება.

შემოსავლის და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

9. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ დადგენილი ფასების და მომხმარებლების მიერ მიღებული სერვისის გათვალისწინებით

10. ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ დადგენილი ფასების და მომხმარებლების მიერ მიღებული სერვისის გათვალისწინებით.

11. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს მომსახურების გაწევასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, არსებული და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

12. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო პერიოდში დასრულდა კოვიდ პანდემია, რამაც გამოიწვია აღსაზრდელების ნაკადის გაზრდა, რაც ბუნებრივად აისახა მის ფინანსურ მაჩვენებლებზე. თუმცა საადრიცხვო პოლიტიკას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეხებია.

2022 წლის განმავლობაში შეინიშნებოდა ლარის გამყარების ტენდენცია, რაც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხის გამო აისახა კურსთაშორის მოგებაში.

გაზრდილი ინფლაციის პარალელურად გაიზარდა მარაგებისა და საკვები პროდუქტის ღირებულება, რამაც გაზარდა მომსახურების გაწევის თვითღირებულება.

სხვა ისეთ გარემოებებს, რომლებიც წარმოშობდა ფინანსურ ანგარიშგებაში ახსნა-განმარტებითი შენიშვნების საჭიროებას, ადგილი არ ქონია.

შპს ანბანელა სუპერქიდს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2023	31-12-22	31-12-21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	1,033,219	1,002,185	1,048,066
ძირითადი საშუალებები	1,033,219	1,002,185	1,048,066
მოკლევადიანი აქტივები	34,542	57,737	18,631
მარაგები	2,400	3,584	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3,700	4,568	3,705
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,442	49,585	14,926
სულ აქტივები	1,067,761	1,059,922	1,066,697
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	189,590	189,590	189,590
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	190,838	66,256	(188,144)
სულ კაპიტალი	380,428	255,846	1,446
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	687,333	804,076	1,063,304
ავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,947
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	687,333	804,076	1,065,251
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,067,761	1,059,922	1,066,697


დირექტორი: _____

ქ. წულიაშვილი - გურგენიძე

მპს ანბანელა სუპერქიდს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2023	31-12-22	31-12-21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	1,033,219	1,002,185	1,048,066
ძირითადი საშუალებები	1,033,219	1,002,185	1,048,066
მოკლევადიანი აქტივები	34,542	57,737	18,631
მარაგები	2,400	3,584	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3,700	4,568	3,705
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,442	49,585	14,926
სულ აქტივები	1,067,761	1,059,922	1,066,697
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	189,590	189,590	189,590
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	190,838	66,256	(188,144)
სულ კაპიტალი	380,428	255,846	1,446
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	687,333	804,076	1,063,304
ავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,947
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	687,333	804,076	1,065,251
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,067,761	1,059,922	1,066,697

დირექტორი:



ქ. წულიაშვილი - გურგენიძე

შპს ანბანელა სუპერქიდს
საქმიანობის შედეგები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)	2023	2022	2021
ამონაგები	557,577	467,647	230,993
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-247,757	(136,311)	(101,340)
მარაგების ხარჯი	-43,510	(36,402)	(27,364)
სხვა ხარჯი	-29,472	(48,872)	(17,301)
ცვეთა და ამორტიზაცია	-42,215	(39,678)	(37,577)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	-67,634	(68,063)	(80,851)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	-2,407	116,079	61,846
მოგება დაბეგვრამდე	124,582	254,400	28,406
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/ზარალი	124,582	254,400	28,406


დირექტორი: _____

ქ. წულიაშვილი - გურგენიძე

შპს ანბანელა სუპერქიდს
საქმიანობის შედეგები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)	2023	2022	2021
ამონაგები	557,577	467,647	230,993
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-247,757	(136,311)	(101,340)
მარაგების ხარჯი	-43,510	(36,402)	(27,364)
სხვა ხარჯი	-29,472	(48,872)	(17,301)
ცვეთა და ამორტიზაცია	-42,215	(39,678)	(37,577)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	-67,634	(68,063)	(80,851)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	-2,407	116,079	61,846
მოგება დაბეგვრამდე	124,582	254,400	28,406
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/ზარალი	124,582	254,400	28,406

დირექტორი:



ქ. წულიაშვილი - გურგენიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	2023	2022	2021
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	233,259	246,062	70,476
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-57,422	-6,203	-7,718
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-197,268	-201,607	-59,493
ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	-21,431	38,252	3,266
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	49,585	14,926	8,566
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	288	-3,593	3,094
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	28,442	49,585	14,926


დირექტორი: _____ ქ.წულიაშვილი - გურგენიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	<u>2023</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	233,259	246,062	70,476
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-57,422	-6,203	-7,718
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-197,268	-201,607	-59,493
ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	<u>-21,431</u>	<u>38,252</u>	<u>3,266</u>
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	49,585	14,926	8,566
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	288	-3,593	3,094
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	<u>28,442</u>	<u>49,585</u>	<u>14,926</u>

დირექტორი:



ქ.წულიაშვილი - გურგენიძე